ოქმი:**ო12. 37260722**

თარიღი:**13/03/2026**

# ოქმი N 5

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2026 წელი, 10 მარტი
ქ.ოზურგეთი
15:00 -17:00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** ტატა ბარამიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

**ესწრებოდნენ:** კომისიის წევრები: დ. ხურციძე, ნ. გოლიაძე, ქ. ვასაძე, ვლ. ხავთასი, ნ. ჭანიშვილი, გ. კალანდაძე, ე. წუწუნავა, ი. დობორჯგინიძე, გ. კალანდაძე, მ. ცქვიტინიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, ტ. ბარამიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

## დღის წესრიგი

1.„არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეიმო გაერთიანების”-მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: ტატა ბარამიძე**
**თანამომხსენებელი: ლანა ქავთარაძე**

2, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ “ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრი”-ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: ტატა ბარამიძე**

**თანამომოხსენებელი: ლაშა კუტალაძე**

3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ ჯუმბერ დუნდუას სახელობის ქართული ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლი”გურია”-ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: ტატა ბარამიძე**

**თანამომხსენებელი: კობა დუნდუა**

4. „არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გრ. კილაძის სახელობის მუსიკალური სკოლი”-ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: ტატა ბარამიძე**

**თანამომხსენებელი: ლელა შარაშენიძე**

სხდომის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი, აღნიშნა, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკრებულოს საკონტროლო-საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი ა(ა).ი.პ-სა და შ.პ.ს-ების მიერ წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიშების მოსმენას, შემდეგ მოკლედ ისაუბრა. „არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეიმო გაერთიანების”-მიერ 2025 წელს გაწეულ საქმიანობაზე, ვრცელი ანგარიში ამავე საკითხზე კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა ლ. ქავთარაძემ და მანვე უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

სხდომის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ანგარიში აკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შესაძლებელია მისი წარდგენა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს წარმოდგენილი ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვის, შეფასებისა და ცნობად მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ “ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრი”-ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში კომისიის წევრებს ვრცლად გააცნო და უპასუხა დასმულ შეკითხვებს ტანამომხსენებელმა ლ. კუტალაძემ. აქაც აღინის თეატრის შენობის რეაბილიტაციის პრობლემა.

სხდომის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ანგარიში აკმაყოფილებს არსებული კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შესაძლებელია მისი წარდგენა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს წარმოდგენილი ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვის, შეფასებისა და ცნობად მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მესამე საკითხი, ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ ჯუმბერ დუნდუას სახელობის ქართული ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლი”გურია”-ს .მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა კ. დუნდუამ და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

სხდომის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ანგარიში აკმაყოფილებს არსებული კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შესაძლებელია მისი წარდგენა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს, მოიწონეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს წარმოდგენილი ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვის, შეფასებისა და ცნობად მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მეოთხე საკითხი, ვრცლად კომისიის წევრებს

„არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გრ. კილაძის სახელობის მუსიკალური სკოლი”-ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშზე ესაუბრა თანამომხსენებელი ლ. შარაშენიძე და უპასუხა დასმულ შეკითხვებს. აღინიშნა სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაციის აუცილებლობის პრობლემა.

სხდომის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ანგარიში სრულად აკმაყოფილებს არსებული კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შესაძლებელია მისი წარდგენა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს წარმოდგენილი ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვის, შეფასებისა და ცნობად მიღების მიზნით.

**გადაწყვიტეს:**

საკრებულოში შემოსული ოთხივე ანგარიში წარდგენილ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განხილვის, შეფასებისა და ცნობად მიღების მიზნით.

ტატა ბარამიძე

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი